საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია

NEWSLETER

ივლისი-აგვისტო, 2019

www.employer.ge

დამსაქმებელთა ასოციაციამ შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი შექმნა, რომელიც მთავრობას, პროფკავშირებსა და ბიზნეს სექტორს წარუდგინა

ბიზნეს გაერთიანება - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ორგანიზებითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით (ILO) საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით **„გამოწვევები, შესაძლებლობები და სამომავლო პერსპექტივები შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების სფეროში საქართველოსთვის,"** სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში" გაიმართა.

უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის პრეზენტაცია, რომელიც საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) დახმარებით შეიმუშავა და გამოხატავს დამსაქმებელთა ასოციაციის ხედვებსა და რეკომენდაციებს შრომის უსაფრთხოების სფეროსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში.

„ვისურვებდით, რომ სახელმწიფომ სამომავლოდ შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს ის რეკომენდაციები და მოლოდინები, რომლებიც ასახულია დამსაქმებელთა ასოციაციის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში და რომელიც დღეს წარვუდგინეთ სოციალურ პარტნიორებს, რათა ბიზნეს სექტორისთვის მაქსიმალურად უმტკივნეულო იყოს საკმაოდ მკაცრ საკანონმდებლო მოთხოვნებზე ეკონომიკური საქმიანობის მორგება. რაც შეეხება შრომის უსაფრთხოების სფეროში ამ ეტაპზე არსებულ გამოწვევებს, პირველ რიგში ეს არის ცოდნა, კვალიფიკაცია აღნიშნულ სფეროში. როდესაც კომპანიას კანონი სთხოვს, რომ სამუშაო გარემო მოარგოს შრომის უსაფრთხოების ნორმებს, მას უნდა ჰყავდეს შესაბამისი კვალიფიკაციის თანამშრომელი ორგანიზაციის შიგნით, ან მოიძიოს გარე მომსახურება. ორივე მიმართულებით უჭირთ კომპანიებს კვალიფიციური მომსახურების მიღება, რადგან სფერო ახალია და შრომის ბაზარზე რთულია შესაბამისი ცოდნით შეიარაღებული კადრების მოძიება,"- საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის

აღმასრულებელი დირექტორი ლაშა ლაბაძე.

აღსანიშნავია, რომ შრომის უსაფრთხოების შესახებ პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებაში ჩართული იყო ბიზნეს სექტორი, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები.

კონფერენციას ესწრებოდნენ წარმომადგენლები სამინისტროებიდან და სხვა სამთავრობო უწყებებიდან, ბიზნეს სექტორი, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

ასევე, მოწვეული საერთაშორისო ექსპერტები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციიდან (ILO), დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაციიდან (IOE), ბიზნეს ევროპიდან (BUSINESS EUROPE) და ა.შ.

დამსაქმებელთა ასოციაციაში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები მომზადდნენ

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებმა აკრედიტებული პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსი დაასრულეს და შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცათ.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებულ პროგრამას 2018 წლის დეკემბრიდან ახორციელებს და ამ ეტაპისთვის სერტიფიცირებული ჰყავს 400-ზე მეტი სპეციალისტი.

„შრომის უსაფრთხოების სფეროში არსებული გამოწვევებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა ცოდნა და შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების არ არსებობა შრომის ბაზარზე. სწორედ, ამ გამოწვევაზე საპასუხოდ, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია ამ სფეროში წლების განმავლობაში დაგროვილი ცოდნას უზიარებს კომპანიებს კონსულტაციების, აუდიტების, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მიმართულებით. ამასთან, რაც ყველაზე აქტუალურია ამ ეტაპზე, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს ვთავაზობთ მაღალკვალიფიციურ სწავლებას შესაბამისი პრაქტიკული და თეორიული მოდულებით, რომელსაც ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები უძღვებიან,“ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლაშა ლაბაძე.

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის 1 სექტემბრიდან შრომის უსაფრთხოების კანონი ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროზე ვრცელდება და ობიექტების შემოწმება შრომის ინსპექტორებს წინასწარი ნებართვის გარეშე დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში შეეძლებათ. ამასთან ბიზნეს სექტორი ვალდებული იქნება, რომ ადგილზე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ჰყავდეს.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებისთვის სასერტიფიკაციო ტესტირება გაიმართა

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამა კიდევ 40-მდე მონაწილემ დაასრულა და სასერტიფიკაციო გამოცდა ჩააბარა.

კურსი გაიარეს როგორც დამწყებმა, ისე ამ სფეროში სამუშაო გამოცდილების მქონე მოქმედმა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებმა. პროგრამა შედგენილია სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად და აკმაყოფილებს შრომის უსაფრთხოების სფეროში არსებულ გამოწვევებს ზოგადად ქვეყანაში ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, საკანონმდებლო მოთხოვნებს.

ტესტირების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში მონაწილეებს გადაეცემათ სახელმწიფოს მიერ აკრედიტებული სერტიფიკატი.

შეგახსენებთ, რომ 2019 წლის 1 სექტემბრიდან შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები ვალდებული ხდებიან ჰქონდეთ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა იმ მოდულების შესაბამისად, რომელსაც აღნიშნული კურსი მოიცავს და ფლობდნენ დამადასტურებელ სერტიფიკატს. ამასთან კანონის ეს მოთხოვნა ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროზე ვრცელდება.

დამსაქმებელთა ასოციაციამ იმერეთის რეგიონის ბიზნეს სეტორთან შეხვედრა გამართა

ბიზნეს გაერთიანება - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წარმომადგენლები იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში ადგილობრივი ბიზნეს სექტორის წარმომადგენელ 80-მდე კომპანიასთან შეხვედრა გამართეს.

შეხვედრა მიზნად ისახავდა კერძო სექტორისთვის ისეთი აქტუალური საკითხების განხილვას,

როგორებიცაა შრომის უსაფრთხოება, პროფესიული განათლება და ამ სფეროებში არსებული გამოწვევები.

„შრომის უსაფრთხოების კანონის გამკაცრება განსაკუთრებით მძიმედ აისახება რეგიონებზე, რადგან იქ ნაკლებია ამ სფეროში არსებული ცნობიერება, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრები, მეტიც, არ აქვთ ინფორმაცია, თუ რა

ახალ მოთხოვნებს უყენებს კანონი მათ. შეხვედრა მნიშვნელოვანი იყო იმდენად, რამდენადაც ერთი მხრივ, ადგილობრივ ბიზნესმენებს მივაწოდეთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარმართონ საქმიანობა კანონის ახალი მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო მეორე მხრივ, მათგან მოვისმინეთ ის მთავარი გამოწვევები, რაც ამ ეტაპზე ბიზნეს საქმიანობისთვის ხელისშემშლელია კონკრეტული რეგიონისთვის.

რაც შეეხება პროფესიულ განათლებას, ცნობილია, რომ აღნიშნული საკითხიც განსაკუთრებით მწვავედ დგას რეგიონებში. საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია იმერეთის რეგიონში პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტს უკვე 1 წელზე მეტია ახორციელებს და პროექტის მიხედვით დაგეგმილი აქტივობებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ ვისაუბრეთ შეხვედრის მონაწილეებთან. აქვე უნდა აღვნიშნო ადგილობრივი მთავრობის მხარდაჭერა ჩვენ საქმიანობაში, რასაც დღევანდელი შეხვედრის ორგანიზებაც და სამომავლოდ თანამშრომლობის მზაობა ადასტურებს," - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლაშა ლაბაძე.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია სამომავლოდ სხვადასხვა რეგიონის ბიზნეს წრეებთან შეხვედრების გამართვას და მათთან კომუნიკაციის გაძლიერებას აანონსებს, რათა სამთავრობო სტრუქტურების და საერთაშორისო პარტნიორების წინაშე კერძო სექტორის ლობირება მეტად ეფექტური და კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირებული გახდეს.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებს სერტიფიკატები გადაეცათ

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში კიდევ 40-მდე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტმა მოიპოვა სახელმწიფოს მიერ აკრედიტებული სერტიფიკატი.

სერტიფიკატის მოპოვებამდე დამწყებმა და მოქმედმა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებმა 130 საათიანი კურსი თეორიული და პრაქტიკული კურსი გაიარეს და სასერტიფიკაციო გამოცდა ჩააბარეს.

შეგახსენებთ, რომ 2019 წლის 1 სექტემბრიდან შრომის უსაფრთხოების კანონის მოქმედება ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროზე გავრცელდება.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სასწავლო პროგრამა, რომელსაც საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია ახორციელებს სრულად აკმაყოფილებს, ერთი მხრივ, შრომის უსაფრთხოების კანონის მოთხოვნებს, მეორე მხრივ, ამ სფეროში არსებულ გამოწვევებს სამუშაო ადგილებზე.

პროფესიული განათლებისა და სწვალების პრექტის ფარგლებში სამუშაო შეხვედრა გაიმართა

პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტის ფარგლებში, რომელსაც საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია 2016 წლიდან გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით ახორციელებს, სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ბიზნეს სექტორის და პროფესიული კავშირების გაერთიანების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა დამსაქმებელთა ასოციაციის მხრიდან პროექტის მიმდინარეობის, მიღწეული შედეგებისა და სამომავლო პერსპექტივების გაცნობა დაინტერესებული მხარეებისთვის. ამასთან, შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს პროფესიული განათლების სფეროში და ზოგადად, შრომის ბაზარზე არსებული გამოწვევების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტი 2021 წლამდე გაგრძელდება და მოიცავს აქტივობებს პროფესიულ სასწავლებლებსა და ბიზნეს სექტორს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, რათა დაკმაყოფილდეს შრომის ბაზრის მოთხოვნა ადეკვატური კვალიფიკაციის მქონე კადრების მიწოდების საკითხში.

პროექტი ხორციელდება თბილისში, გორსა და ხონში.

შეხვედრა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა.

საკონტაქტო ინფორმაცია:

0159, თბილისი, ა. ბელიაშვილის ქ.#106

ტელ.: +995 32 2 14 72 72

მობ.: +995 579 555 551

ელ-ფოსტა: employer@employer.ge

ვებ: www.employer.ge